ოქმი:**ო63.6322119001**
თარიღი:**29/04/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 9

ქ. სამტრედია. 21 აპრილი, 2022 წელი.

2022 წლის 21 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ჯანელიძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თავზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ნორა იანიკოვი.

3. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციული ერთეულებიდან.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. 2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების

შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. ტ.ცომაია/

2. სხვადასხვა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (27 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, 2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 14 აპრილის**, N62-622210442 წერილობითი მომართვა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი ერთობლივად განიხილა ინფრასტრუქტურის და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიებმა, ასევე ბიურომ. მინდა მოგახსენოთ, რომ სოფლის პროგრამები ინფრასტრუქტურაზე მეტად ორიენტირებულია დემოკრატიის გაძლიერებისთვის განსაკუთრებით კი სოფლებში. ეს პროექტი თავიდანვე ამისთვის დაიგეგმა. ხალხის ჩართულობა უნდა იყოს მაქსიმალური, რათა პასუხისმგებლობა ხალხმა იგრძნოს. ასე, რომ სოფელში რაიმე კეთდებოდეს და ეს ხალხმა არ იცოდეს ასეთი ფაქტი არ უნდა დაფიქსირდეს. ამისათვის მოგიწოდებთ საკრებულოს წევრებს, მერიის თანამშრომლებს და მერის წარმომადგენელებს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულებში, ყველა უნდა იყოს მობილიზებული ამ საკითხის მოგვარებისთვის. წარმომადგენლებს გვერდში უნდა ედგათ არა მარტო მაჟორიტარი დეპუტატები, არამედ საკრებულოში პარტიული სიით მოხვედრილი წევრები. მომავალი წლიდან სავარაუდოდ, ქალაქშიც განხორციელდება აღნიშნული პროექტები და ქალაქის დეპუტატები ჩართული იქნებიან ამ საქმიანობაში.

რაც შეეხება წარმოდგენილ პროექტებს ჩართული ვიყავით მათ განხილვაში, ძირფესვიანად და ხარისხიანად შევისწავლეთ.

მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას, 2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები, დანართი №1.

დანართი №1

2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები

№	სოფელი	პროექტის დასახელება	საქართველოს მთავრობის	თანადაფინან

			განკარგულებით გამოყოფილი თანხა	**სება**
1	2	3	4	5
1	ბაში	ამბულატორიის შენობისთვის სველი წერტილების მოსაწყობად მასალების შეძენა	1 000	0
2	ბაში	გარე განათების მოწყობა	19 000	0
3	იანეთი	გარე განათების მოწყობა	20 000	0
4	დიდი ჯიხაიში	სერგეთის უბანში სანიაღვრე არხის გაჭრა	10 000	6 000
5	დიდი ჯიხაიში	გარე განათების მოწყობა 26-ე (ჩიხებით) და 23-ე ქუჩებზე	10 000	4 000
6	პატარა ეწერი	სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და ხიდ-ბოგირის მოწყობა	2250	0
7	პატარა ეწერი	სასაფლაოს შემოღობვა	9250	0
8	პატარა ეწერი	მოსაცდელთან მისასვლელი გზის (ბილიკის) მოწყობა	500	0
9	ოჭოფა	არსებული სკვერის კეთილმოწყობა	10000	0
10	კეჭინარი	ხიდ-ბოგირის მოწყობა და მოსაცდელის რეაბილიტაცია	3000	0
11	კეჭინარი	სპორტული მოედნის ინფრასტრუქტურის მოწყობა	8500	0
12	კეჭინარი	სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	500	0
13	გვიმრალა	საბავშვო ბაღის მიმდებარედ გზისპირა მოსაცდელის მოწყობა	8000	0
14	გვიმრალა	საწრეტი არხების რეაბილიტაცია და მილ-ბოგირების მოწყობა	1650	0
15	გვიმრალა	ამბულატორიის ეზოს ღობის რეაბილიტაცია	350	0
16	გვიმრალა	სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	2000	0
17	ჯიქთუბანი	გარე განათების მოწყობა	7000	0
18	ჯიქთუბანი	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია	750	0
19	ჯიქთუბანი	არსებული სკვერის რეაბილიტაცია	4250	0
20	ახალსოფელი	ორი საბავშვო სკვერისთვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი	11000	0
21	ახალსოფელი	საწრეტი არხების რეაბილიტაცია	4500	0
22	ახალსოფელი	არსებული სპორტული მოედნის ღობის რეაბილიტაცია	500	0
23	მელაური	ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა	5000	0
24	მელაური	გარე განათებისთვის 3 ცალი ლითონის ბოძის მოწყობა	1400	0
25	მელაური	საყანე ფართობებთან მისავლელ გზაზე ხიდ-ბოგირის მოწყობა	3400	0
26	მელაური	ამბულატორიის ოთახის რემონტი და	2200	1 000

		სველი წერტილების მოწყობა		
27	მიწაბოგირა	სპორტული სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორების) მონტაჟი	16000	10 000
28	ხიბლარი	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხებისა და მილ-ბოგირების მოწყობა	16000	0
29	დაბა კულაში	სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	20000	20 000
30	ნაბაკევი	სკვერის კეთილმოწყობა	12000	0
31	ნაბაკევი	მუზეუმის ქუჩის ხიდ-ბოგირზე მოაჯირის მოწყობა	4000	0
32	ჩხენიში	ე.წ. მაღლა გორის უბანში სკვერის მოწყობა	11000	0
33	ჩხენიში	ცენტრალურ ქუჩაზე არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია	3000	0
34	ჩხენიში	სპორტული მოედნისთვის ინვენტარის შეძენა	1000	0
35	ჩხენიში	არსებული სკვერის რეაბილიტაცია	1000	0
36	ხუნჯულაური	სოფლის ცენტრში არსებული მინი-სტადიონის რეაბილიტაცია	0	12 000
37	ხუნჯულაური	არსებული სკვერის კეთილმოწყობა	8000	0
38	ხუნჯულაური	არსებული მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია	4000	0
39	ნინუაკუთხე	სოფლის ცენტრში არსებული მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია	4000	0
40	ნინუაკუთხე	ე.წ. ნაბუტკოს უბანში არსებული სკვერის რეაბილიტაცია	10000	0
41	ნინუაკუთხე	არსებულ მინი-სტადიონზე ორი ერთეული ღამის განათების დამატება	2000	0
42	კვირიკე	არსებულ მინი სტადიონზე ღამის განათების მოწყობა და ღობის რეაბილიტაცია	7000	0
43	კვირიკე	არსებული სკვერის კეთილმოწყობა	5000	0
44	ღანირი	გარე განათების მოწყობა	20000	0
45	ჭაგანი	გარე განათების მოწყობა	16000	0
46	დაფნარი	სანიაღვრე არხების გაჭრა-ამოწმენდა	3800	0
47	დაფნარი	სანიაღვრე სისტემისთვის პოლიეთილენის გოფრირებული 300 მმ დიამეტრის მილების შეძენა	1600	0
48	დაფნარი	გარე განათების მოწყობა	10600	0
49	დაბლა გომი	გარე განათების მოწყობა	13000	0
50	დაბლა გომი	წყლის სისტემის სარეაბილიტაციოდ მასალების შეძენა (63მმ-იანი 700 გრძ/ მეტრი პოლიეთილენის მილის და 6 ცალი გადასაბმელის შეძენა)	3000	0
51	კეთილაური	გზის გაფართოება-რეაბილიტაცია	9500	0
52	კეთილაური	სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	200	0
		სოფელ მთისძირში, საყანე		

53	კეთილაური	ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	300	0
54	ცივწყალა	გზის მოხრეშვა-მოტკეპვნა 400 კბ/მ ბალასტით	9000	0
55	ცივწყალა	გზაზე რკინა-ბეტონის ცხაურის მოწყობა (6 გრძ/მეტრი)	700	0
56	ცივწყალა	სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	300	0
57	გომმუხაყრუა	სოფელ დაბლა ეწერის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	6500	0
58	გომმუხაყრუა	გარე განათების მოწყობა	5000	0
59	გომმუხაყრუა	გომის საბავშვო ბაღის წყალმომარაგებისთვის მასალების შეძენა	500	0
60	გომნატეხები	გზის მოხრეშვა 1300 გრძ/მეტრზე 450 კბ/მ ბალასტით	4500	0
61	გომნატეხები	სკვერის შემოსაღობად მასალების (მილ-კვადრატი, ცემენტი, ქვიშა-ღორღი, ფიცარი) შეძენა	6500	0
62	გომნატეხები	გარე განათების მოწყობა	1000	0
63	მთისძირი	გარე განათების მოწყობა	5700	0
64	მთისძირი	სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	300	0
65	მთისძირი	სპორტული სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორების) მონტაჟი	10000	16 000
66	კორმაღალი	გარე განათების მოწყობა	6000	0
67	კორმაღალი	სოფელ კორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	5400	0
68	კორმაღალი	სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	300	0
69	კორმაღალი	სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	300	0
70	დობირო	გარე განათების მოწყობა	4200	0
71	დობირო	სოფელ კორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	5200	0
72	დობირო	სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	300	0
73	დობირო	სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი	300	0

		საპროექტო წინადადება)		
74	დაბლა ეწერი	გარე განათების მოწყობა	3000	0
75	დაბლა ეწერი	სოფელ დაბლა ეწერის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	4000	0
76	დაბლა ეწერი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2700	0
77	დაბლა ეწერი	სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	300	0
78	ზედა ეწერი	გარე განათების მოწყობა	5200	0
79	ზედა ეწერი	სოფელ კორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	6200	0
80	ზედა ეწერი	სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	300	0
81	ზედა ეწერი	სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)	300	0
82	საჯავახო	გარე განათების მოწყობა	14000	3 000
83	საჯავახო	საკირეს უბანში წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2000	0
84	ჭოგნარი	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (მოხრეშვა და მილ-ბოგირების მოწყობა)	12000	0
85	პირველი ნიგორზღვა	სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა	6500	8 000
86	პირველი ნიგორზღვა	გზისპირა მოსაცდელის მოწყობა კიკვაძეების უბანში	5500	0
87	მეორე ნიგორზღვა	ე.წ. მეწყნარის უბანში გარე განათების მოწყობა	7000	0
88	მეორე ნიგორზღვა	სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია	3000	10 000
89	ტოლები	შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა	10000	0
90	ზემო ტოლები	წყლის სათავე ნაგებობისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა	10000	0
91	ქვემო ნოღა	გარე განათების მოწყობა	12000	0
92	ზემო ნოღა	შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა ეცადეიშვილების და გოგავების უბნებში	12000	0
93	ვაზისუბანი	ე.წ. გადაღმა ვაზისუბნის და ბინებისკენ მიმავალი გზის მოხრეშვა	16000	0
94	ბუღნარა	ე.წ. მორეშავის უბანში გარე განათების მოწყობა	7000	0
95	ბუღნარა	არსებული სტადიონის შემოსაღობად მასალების შეძენა	5000	0
96	ქორეისუბანი	გზის მოხრეშვა	10000	0
97	დიდი ოფეთი	წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია და წყლის სისტემის დაზიანებული მონაკვეთების შეცვლა	10000	10 000
	პატარა			

98	ოფეთი	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	10000	10 000
99	ნაწილი ოფეთი	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	10000	0
100	მტერჩვეული	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	10000	0
101	წიაღუბანი	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	10000	0
102	თხილაგანი	შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	10000	0
103	გორმაღალი	საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა	12000	0
104	გორმაღალი	სკვერის მოწყობა ქვაყუდის უბანში	4000	8 000
105	გამოჩინებული	გარე განათების მოწყობა	10000	0
			660 000	**118 000**

აზრი გამოთქვეს: აკაკი მინაშვილმა, ქეთევან კუტალაძემ, ვაჟა სტურუამ ლიზა კრავეიშვილმა, ავთანდილ თადუმაძემ.

აკაკი მინაშვილი - კითხვა მინდა დავუსვა მერის წარმომდაგენლებს. ყველა ეს პროექტი, რასაც დღეს განვიხილავთ და უნდა მოვიწონოთ, მაინტერესებს როგორ განისაზღვრა და როგორ შეირჩა პრიორიტეტები, დიდ სოფლებში განსაკუთრებით. ვინაიდან, სოფლის ერთ მხარეს სხვა პრობლემები აქვს და მეორე მხარეს სხვა. მაგალითად, ერთ ნაწილს გზების მოხრეშვა აინტერესებს, მეორე ნაწილს სავარჯიშო ტრენაჟორების მონტაჟი.

ქეთევან კუტალაძე - როგორც ვიცით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა მოწვეული იქნას სოფლის კრება, სადაც გადაწყდება პრიორიტეტები. მაგალითად, გამოჩინებულში არ ჩატარებულა სხდომა. ჩატარდა გამოკითხვა, გინდა თუ არა განათების სისტემის მოწესრიგება. რა თქმა უნდა მოსახლეობამაც უპასუხა, რომ უნდა. სხვა ალტენატივა მათ არ ქონდათ. მაშინ, როდესაც არის ისეთი უბნები გამოჩინებულში, სადაც ადამიანი ფეხით ვერ გადაადგილდება, იქ აუცილებლად უნდა მოიხრეშოს გზები. მეორე აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხი არის წყლის სისტემის მოწესრიგება. მაგრამ ჩემთვის ცნობილია, რომ გამოჩინებულში მოსახლეობისათვის კრება არ ჩაუტარებიათ და ეს შეკითხვები არ დაუსვავთ.

მერის წარმომადგენელმა გამოჩინებულის ადმინისტრაციულ ერთეულში, მარინა ქორიძემ, უპასუხა, რომ დაგეგმილი იყო სხდომის ჩატარების დრო. თუმცა იყო ძალიან დიდი თოვლი, ვერ ჩავატარეთ სხდომა, პირადად მე კარდაკარ შემოვიარე მოსახლეობა და გავაცანი პრიორიტეტები, მათი მოთხოვნა იყო განათების სისტემის მოწესრიგება. ამის შემდეგ ჩავატარეთ სხდომა და დავაფიქსირებთ მათი მოთხოვნა. არსებობს ოქმი და ხელმოწერები.

ვაჟა სტურუა - ყველა სოფელში ჩატარებულია სხდომები, განხილული და შესწავლილია საკითხი. შედგენილია შესაბამისი ოქმები, რასაც ახლავს მოსახლეობის ხელმოწერები, შერჩეულია პრიორიტეტი და მიღებულია გადაწყვეტილება. რაც შეეხება წყლის პრობლემას ეს არის ყველა მაღალმთიანი სოფლების პრობლემა. ამ საკითხის მოგვარებაში ჩართულია მერია, ეკონომიური განვითარების ფონდი, რათა მოხდეს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა. სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხები წყლის საკითხის მოგვარებას არ ეყოფა. არ არის მიზანშეწონილი, რომ დაწყებულიყო წყლის სისტემის მოგვარება და შემდეგ არასაკმარისი თანხის გამო, შეჩერებულიყო საქმე. რაც შეეხება გზების მოხრეშვას რეგიონალური პროექტების ფონდში ჩასმულია და ამ

პროექტით გაკეთდება. 10,0 ათ. ლარი, რასაც ეყოფა ისე განაწილდა მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად.

ლიზა კრავეიშვილი - სოფლის პროგრამა, ეს არის ერთი მიმართულება, ამით არ მთავრდება საქმის კეთება. არსებობს სხვა პროგრამები, რომელიც მოაწესრიგებს მთელ რიგ პრობლემებს.

ვალერიანე ფოცხვერია - ქალბატონო ქეთევან, წლის პრობლემის მოგვარებას ჭირდება ძალიან დიდი თანხები, დაახლოებით მილიონი ლარი. გზა კეთდება და რამდენიმე ასეულ ათასი ლარი ჭირდება. სოფლის პროგრამით გამოყოფილია 10,0 ათ. ლარი, ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს, მაგრამ საკმარისია განათების მოსაწესრიგებლად. ამიტომ პრიორიტეტად მოსახლეობამ აირჩია განათება.

ავთანდილ თადუმაძე - სამუშაო პროექტში წარმოდგენილია რამოდენიმე მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარება. მოხრეშვითი სამუშაოების შესრულების დროს კარიერის პრობლემა იყო ხელისშემშლელი საკითხი. მაღალმთიან სოფლებში თუ კარიერი არ არის მოწყობილი მერწმუნეთ, რომ ერთი რეისი ინერტული მასალის ღირებულება იქნება კოლოსალური თანხა. თუ არის შესაძლებელი ყველა სოფელში იყოს დარეგისტრირებული ახლო მდებარე კარიერი, საიდანაც იოლად მოხდება ინერტული მასალის ამოღება.

ტარიელ ცომაია - მერის წარმომადგენლებს დავალებული ქონდათ წარმოედგინათ სოფელთან ახლო მდებარე კარიერების XY კოორდინატები და დაახლოებით რა რაოდენობის ინერტული მასალა ესაჭიროებოდა, რომლის საფუძველზე მთავრობა დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადმოგვცემს კარიერს, საიდანაც მოხდება ინერტული მასალის ამოღება. ჩემი თხოვნა იქნება მერის წარმომადგენლებისადმი, სანამ დაიწყება სამუშაოები, გადახედეთ საპროექტო დოკუმენტაციას მშენებლებთან ერთად, რათა შემდგომ არ ქონდეს ადგილი რაიმე სახის გაურკვევლობას. 84 პროექტია განსახორციელებელი და შრომატევადი სამუშაოებია ჩასატარებელი, თქვენი თანადგომა და ყურადღება აუცილებელია.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით, წინააღმდეგი-2, ქეთევან კუტალაძე, კობა ძიძიგური), დამტკიცდა განკარგულება, 2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი